



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 47

4 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოდის ნაწილის შპს „მაგთიკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიას მომართა (06.06.18წ. №01/2806) შპს „მაგთიკომმა“ და ითხოვს ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გარე განათების ბოდებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანას, მომხმარებლისათვის ინტერნეტისა და IP ტელევიზიის მიწოდების მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, შპს „მაგთიკომის“ 06.06.18წ. N01/2806 წერილის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018წ. №01/ 3978 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოდის ნაწილი/წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

2. სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2(ორი) ლარს 1 ერთეული ხაზოვანი ნაგებობის/გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენებისათვის, სულ 1782 ლარი.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი